

საქართველოს პრეზიდენტმა დასუფთავების აქციაში მიიღო მონაწილეობა



ყოველწიური საერთაშორისო
კამპანიის „დავასუფთაოთ
მსოფლიო“ ფარგლებში,
თბილისში გამართულ
დასუფთავების აქციაში
საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი მარგველაშვილიც
ჩაერთო.

დასუფთავების კამპანიაში ჩართვის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ესტონედ კოდეგასთან რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა. კერსტი კარდუდაიდი მიესალმა საქართველოს ჩართვას დასუფთავების დღის კამპანიაში.

პრეზიდენტმა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაში მიიღო მონაწილეობა. აქციაში ასევე, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საეროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოელი სამხედროები, მოქალაქეები მონაწილეობდნენ.

„მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ყველა მოქალაქეს, რადგან მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება ეს ძალიან მნიშვნელოვანი აქცია. მადლობა ესტონელებს, რომლებმაც 10 წლის წინ დაიწყეს ინიციატივა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მადლობა მინდა ვუთხრა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მიმართ ასეთი პატივით დღეს ჩვენთან ერთად ადაგებენ და ასუფთავებენ გარემოს. მოვუწოდებ ყველას, ჯერ კიდევ დღის დასაწყისია, ბუნებრივია შეიძლება ასეთ აქციას ვერ შეუერთდეთ, მაგრამ

საკუთარი სახლის წინ, საკუთარ ეზოს იქნებ ხედი შევავლოთ და ამით გავხადოთ უკეთესი ჩვენი გარემო. მიხარია, რომ ასეთ აქციაში ბევრი ადამიანი მონაწილეობს, განსაკუთრებით ახადგაზრდობის აქტიურობა მახარებს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

15-16 სექტემბერს მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში დასუფთავების ყოველწიური საერთაშორისო კამპანია – „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World) ტარდება, რომელიც 1992 წელს დაფუძნდა გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით და ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება. საქართველო, აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად 2010 წლიდან ჩაერთო და ის რიგით 121-ე ქვეყანა იყო, რომელიც მსოფლიო გარემოსდაცვით რუკაზე აღინიშნა.